ანტენატალური პროგრამის ბენეფიციარების უფლებები და სამედიცინო მომსახურების პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის გამოწვევები საქართველოში

მაგისტრი

ქეთევან თურქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორ სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (10,2023)

ქეთევან თურქაძე. ქ. თურქაძე. 2024წ

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ანტენატალური პროგრამის ბენეფიციარების უფლებებსა და კონფიდენციალურობის მარეგულირებელ სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოებს.

კვლევის მიზანი არის შეაფასოს ანტენატალურ პროგრამებში ჩართული ორსული ქალების უფლებები და გამოავლინოს კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები სამედიცინო სერვისების მიწოდების დროს.

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელმაც ხელი შეუწყო რეკომენდაციების ფორმირებას. რაოდენობრივი კვლევის დასკვნები ცხადყოფს, რომ კონფიდენციალურობის საკითხები მნიშვნელოვნად აფერხებს ბენეფიციარების მიერ ანტენატალური პროგრამით განსაზღვრული სერვისების სრულად გამოყენებას, პერსონალური მონაცემების დარღვევის შიშით, რაც ბევრს აიძულებს თავი შეიკავოს გარკვეული სერვისების გამოყენებისგან ან ვიზიტებზე დასწრებისგან. თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა პაციენტის მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომა.

რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა და კომუნიკაციის სტრატეგიების გაუმჯობესება პრენატალური პროგრამების ფარგლებში. პრიორიტეტად შესაძლებელია იყოს განსაზღვრული ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ხარისხიანი სერვისების მიწოდების ერთ-ერთ გამოწვევად შესაძლებელია მიჩნეული იყოს კონფიდენციალურობის დაცვა.

Abstract

The master's thesis covers the legal and ethical frameworks regulating the rights and privacy of the beneficiaries of the antenatal program in the Georgian health care system.

The purpose of the study is to assess the rights of pregnant women involved in antenatal programs and to identify challenges related to privacy protection during the provision of medical services.

To achieve the goal of the research, qualitative and quantitative research methods have been used, which helped to make recommendations. Quantitative research findings reveal that privacy issues significantly hinder beneficiaries from fully utilizing the antenatal program, with fear of personal data being breached, leading many to refrain from using certain services or attending visits. Qualitative research revealed unauthorized access to patient data.

If the recommendations are taken into consideration, it is important to protect confidentiality and strengthen communication strategies within prenatal programs. Raising awareness among beneficiaries should be a priority, especially in rural areas where access to quality care and privacy protection may be limited.